## ა(ა)იპ "ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი"-ს ფინანსური ანგარიში

5.13 **ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი** (05 15) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 117.3 ათასი ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 117.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

ტურიზმის ცენტრი 2022 წლიდან გადავიდა ახლ შენობაში, დაგეგმა ტურისტული ტურები, მოეწყო სტენდი, სადაც განთავსებულია ლეჩხუმში მცხოვრები მეწარმეების წარმოებული პროდუქტები,, შეიქმნა ინსტაგრამ გვერდი და დაიწყო აქტიურად ინფორმაციის განთავსება, გააქტიურდა ფეისბუკ გვერდი, დაწყებულია ყოველკვირეული გასვლები მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ძეგლების და ტურისტული ადგილების შესწავლისათვის. განვსაზღვრეთ და და დავადგინეთ სხვადასხვა ღირშესანიშნაობების მდებარეობები, კომუნიკაცია დავამყარეთ სასტუმროების მფლობელებთან და შევქმენით ციფრული მონაცემთა ბაზა, კომინიკაცია დამყარდა და ცენტრის ელექტრონულ გვერდებზე განთავსთა ინფორმაცია საოჯახო ღვინის მარნების შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კურორტების და , ტურისტულად მიმზიდველი ადგილების შესახებ, ტბების, მდინარეების, ისტორიული ძეგლების, ტაძრების და სალოცავების, მინერალური წყლების, ლეჩხუმში განვითარებული ოქრომჭედლობის, ხის ოსტატების და ხელოსნობის შესახე, კონსულტაციას ვუწევთ ტურ-ოპერატორებს. ტურისტებს ვმასპინძლობთ როგორ ადგილობრივებს , ასევე უცხოელებს, კერძოდ, ჰოლანდიელ, ებრაელ, გერმანელ, ჩინელ, პოლონელ, ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებს, ჩეხ,აზერბაიჯანელ, ესპანელ, ავსტრიელ, ინდოელ, სლოვენიელ , ინგლისელ, თურქ და რუს ტურისტებს. გვქონდა გაცვლითი შეხვედრები მეზობელი მუნიციპალიტეტების კოლეგებთან , აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცენტრის თანამშრომლები სხვადასხვა ტრეინინგებში.

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | 05 15 | კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება |
| პროგრამის გამახორციელებელი | ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ცენტრი“ | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში სადაც წარადგენს და | |

<table>
<tr><td colspan="3"></td><td colspan="4">პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენსცაგეერის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. ტურისტული ცენტრი შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგემილი საბოლოო შედეგი</td><td colspan="2">ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება</td><td>მიღწეული შედეგი</td><td>გაიზარდა მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობა როგორც ადგილობრივების , ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების , გაიზარდა საოჯახო სასტუმროების რიცხვი, რაც აისახა მოსახლეობის შემოსავლებზე.</td></tr>
<tr><td colspan="4">დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>მოსალოდნელი<br><br>შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი<br><br>(%/აღწერა)</td><td></td></tr>
<tr><td>1</td><td>ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და</td><td>20%</td><td>20%</td><td>20%</td><td></td><td></td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება | | | | | |
| 2 | კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება) | არ გვაქვს | | არ გვაქვს ინფორმაცია | | |